ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N26

20 ნოემბერი 2025 წ.

დაბა ლენტეხი

„2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010260020.35.115.016422, 01/01/2025 წ.) და დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით პირველი

დანართი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ
საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 2025 წლის საშტატო ნუსხა
და თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობის დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე		1	5998
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		1	4535
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		2	3950
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე		5	3219
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		2	2926
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		7	2341
	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული - აპარატი			
7	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	I რანგი	1	3358
8	პროფესიული საჯარო მოხელე - I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	6	1898
9	პროფესიული საჯარო მოხელე - II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	2	1752
	ჯამი		27	